www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის ძირითადი შედეგების შესახებ

2016

წლის შედეგები

31.10.2017

www.geostat.ge

31.10.2017

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების
გამოკვლევის ძირითადი შედეგები
(2016 წელი)

2016 წელს საქართველოში საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული 58 ეკონომიკური სუბიექტი ფუნქციონირებდა. მათგან 77,6% ქალაქ თბილისშია განთავსებული, 10,3% - აჭარაში, 5,2% - იმერეთში, 3,5% - კახეთში, ხოლო დანარჩენი ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში:

საქართველოში მოქმედი საფოსტო და საკურიერო საქმიანობით
დაკავებული საწარმოები რეგიონების მიხედვით, 2016 წელს



გზავნილების მიწოდებას საქართველოში 2016 წელს ახორციელებდა საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების 165 სერვის ცენტრი, რომლებშიც დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 3,7 ათასი კაცი შეადგინა. აქედან 891 კურიერი, ფოსტალიონი და ფელდეგერია.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2016 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავალმა 53,0 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან საერთაშორისო საფოსტო-საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი 67,8%-ს შეადგენს, ხოლო 32,2% ადგილობრივი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალია.

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლის 43,0% ამანათების მიწოდებიდან მიღებულ შემოსავალს წარმოადგენს, რომლის 80,1% საერთაშორისო გზავნილებიდან არის მიღებული, ხოლო 19,9% - ადგილობრივი გზავნილებიდან:

ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა 2016 წელს



საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლის 28,8% წერილობით კორესპოდენციებზე მოდის, რომლის 41,3% საერთაშორისო გზავნილებზე, ხოლო 58,7% - ადგილობრივი გზავნილებზე ნაწილდება:

წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა (2016 წელი)



საფოსტო და საკურიერო მომსახურებით დაკავებული საწარმოების მიერ 2016 წლის განმავლობაში გაგზავნილია 5249,6 ათასი წერილობითი კორესპოდენცია და 1336,4 ათასი ამანათი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge